

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების  
კულტურისა და სპორტის მინისტრის  
#14 ბრძანება

ქ. ბათუმი

20.01.2011 წ

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – აჭარის განათლების ფონდის  
დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
მთავრობის 2010 წლის 1 ივლისის #31 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის  
ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და და სპორტის სამინისტროს  
დებულების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის „ზ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტის და მე-3 მუხლის მე-3  
პუნქტის „ი. ქვეპუნქტის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაფუძნდეს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – აჭარის განათლების ფონდის წესდების თანახმად“.
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – აჭარის განათლების ფონდის საქმიანობის ორგანიზაციისა და სტრუქტურის მოწესრიგების მიზნით, დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – აჭარის განათლების ფონდის წესდება.
3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება: „აჭარის განათლების ფონდი“ (შემდგომ ტექსტში - ფონდი).
4. ფონდი არის წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი იურიდიული პირი და მისი მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება.
5. ფონდის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი მეწარმეთა და არასამეწარმე (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან.
6. ფონდი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.
7. ფონდის იურიდიული მისამართია : ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. #123
8. ფონდის საქმიანობის მიზნებია: მოსახლეობისათვის სახელმწიფო და უცხო ენების, სხვა პროგრამების სწავლება, მასწავლებელთა პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა, კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, განათლების პოპულარიზაცია და სხვა ისეთი პროექტების განხორციელება, რომელთა მიზანია საზოგადოების სოციალური მხარდაჭერა. ფონდი ასევე უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში, მოიძიოს გრანტები და განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის წესდებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი.

9. ფონდის დამფუძნებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, ლადო გუდიაშვილის ქ. N4, ს/ნ 245427667)
10. ფონდის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ერთპიროვნულად ახორციელებს და ფონდის საქმიანობას ხელმძღვანელობას უწევს ფონდის დირექტორი (შემდგომში - დირექტორი), რომელსაც განუსაზღვრელი ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი.
11. ფონდის დირექტორად დაინიშნოს სულიკო თებიძე (დაბადებული 1964 წლის 14 აპრილს. მცხ. ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქუჩა #79, ბინა 13; პირადი ნომერი 61001041810).
12. ფონდის რეორგანიაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილებით.
13. ფონდის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირია სახელმწიფო.
14. ფონდის საკუთრებას წარმოადგენს მისი საქმიანობის შედეგად შეძენილი ქონება, ასევე მისთვის საკუთრებაში გადაცემული ქონება და ფულადი სახსრები.
15. ფონდის მიზნების მისაღწევად დირექტორი უფლებამოსილია დაამყაროს შრომიტ-სამართლებრივი ურთიერთობები და გასცეს ტანამშრომელთა ტანამდებობრივი სარგოები სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის შესაბამისად.
16. ფონდის ხართვალრიცხვას ითანხმებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.
17. ფონდის საქმიანობის კოორდინაციას ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.
18. ფონდის დირექტორმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლიდან 2 დღის ვადაში კანონმდებლობით დადგენილი წესით ფონდის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.
19. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (მის. ქალაქი ბათუმი, კ. გამსახურდიას .#9) და ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ზიბალაშვილის ქ. #30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.
20. ბრძანებაში ძალაშია ხელმოწერის დღიდან

„ დამტკიცებულია “

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების  
კულტურისა და სპორტის მინისტრის  
2011 წლის - 20 იანვრის #14 ბრძანებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

აჭარის განათლების ფონდის

წესდება

## თავი I. ზოგადი დებულებანი

### მუხლი I. სახელწოდება და იურიდიული მისამართი

1.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - აჭარის განათლების ფონდი არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 1 ივლისის # 31 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის ზ' ქვეპუნქტის საფუძველზე შექმნილი არასამეწარმო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

1.2 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებაა: „აჭარის განათლების ფონდი“, (შემდგომში - ფონდი)

1.3 ფონდის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. № 123.

**1.4** ფონდის ელექტრონული ფოსტის მისამართია „ajaraedufund@gmail.com“

### მუხლი 2 ფონდის სტატუსი

2.1 ფონდი არის წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი იურიდიული პირი და მისი მიზანი არ არის სარეწარმეო საქმიანობის განხორციელება, გარდა დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობისა, რომლიდანაც მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს ფონდის მიზნებისა და ამოცანების რეალიზებას.

2.2 ფონდის უფლებაუნაიანობა წარმოიშობა მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეგისტრში რეგისტრაციის მომენტიდან

### 2.3 ფონდი შექმნილია განუსაზღვრული ვადით

2.4 ფონდი კანონმდებლობითა და წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საკუთარი სახელით იძენს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს, კისრულობს მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის მოსარჩევედ და მოპასუხედ სასამართლოში და აბიტრაჟში, აგრეთვე მესამე პირებთან ურთიერთობაში.

2.5 ფონდს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ხარჯთაღრიცხვა, საბანკო და სახაზინო ანგარიშები, ბეჭედი, შტამპი, ბლანკი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

2.6 კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილ ფარგლებში ფონდი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში-სამინისტროს) წინაშე.

### მუხლი 3. ფონდის მიზნები და ამოცანები

3.1 ფონდის ძირითადი ამოცანაა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალურ-საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა.

#### 3.2 ფონდის საქმიანობის ძირითადი მიზანია :

- ა) მოსახლეობისათვის სახელმწიფო და უცხო ენების, სხვა პროგრამების სწავლება;
- ბ) მასწავლებელთა პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა
- გ) კულტურულ - საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება;
- დ) განათლების პოპულარიზაცია და სხვა ისეთი პროექტების განხორციელება, რომელთა მიზანია საზოგადოების სოციალური მხარდაჭერა.

### მუხლი 4. ფონდის უფლებამოსილებანი

#### ფონდი უფლებამოსილია:

ა) საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე კონკრეტული მიმართულებების განსაზღვრის საკითხებთან დაკავშირებით დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილები;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს დამხმარე სახის სამეწარმეო საქმიანობა და ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი მოახმაროს მხოლოდ ფონდის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას;

გ) განახორციელოს მოსახლეობის სოციალური და კულტურულ - საგანმანათლებლო მომსახურება, მათ შორის ფასიანი;

დ) მონაწილეობა მიიღოს სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირების, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ სოციალურ -საგანმანათლებლო პროგრამების და პროექტების განხორციელებაში;

ე) მოიძიოს გრანტები;

ვ) განახორციელოს კანონით აუკრძალავი, ამ წესდებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი სხვა საქმიანობა.

## თავი II. ფონდის მართვა და სტრუქტურა

### მუხლი 5. ფონდის მართვა

5.1 ფონდს ხელმძღვანელობს ფონდის დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

5.2 ფონდის მართვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდების შესაბამისად.

5.3 ფონდის დირექტორი ხელმძღვანელობს ფონდს და მასვე ერთპიროვნულად ეკისრება ფონდის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

#### 5.4 ფონდის დირექტორი:

ა) საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებლად ხელმძღვანელობს ფონდის საქმიანობას, მოქმედებს ფონდის სახელით და სპეციალური მინდობილობის გარეშე წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში;

ბ) ფონდის საქმიანობიდან გამომდინარე საკითხებზე გადაწყვეტილებას ღებულობს ერთპიროვნულად;

გ) პერსონალურად პასუხისმგებელია ამ წესდებისა და ფონდის საქმიანობის მოწესრიგებელი სამართლებრივი აქტების, აგრეთვე მათ საფუძველზე სამინისტროს დავალებების ზუსტად და დროულად შესრულებაზე;

დ) პერსონალურად პასუხისმგებელია ფონდის საქმიანობის სწორად წარმართვაზე, ფონდის ქონბისა და ფულადი სახსრების მიზნობრივ ხარჯვასა და გამოყენებაზე;

ე) თავისი უფლებებების განხორციელებისას გაოსცემს სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა ფონდის ყველა თანამშრომლისათვი, ხელს აწერს ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებულ ფინანსურ და სხვა დოკუმენტებს;

ვ) უფლებამოსილია ფონდის მიზნების მისაღწევად დაამტაროს შრომთ - სამართლებრივი ურთიერთობები და გასცეს თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოები სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის შესაბამისად;

ზ) საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს (დებს შრომით ხელშეკრულებებს ) და თანამდებობიდან ათავისუფლებს ფონდის თანამშრომლებს;

თ) ანაწილებს ფუნქციებს ფონდის თანამშრომლებს სორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს, კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სამსახურეობრივ ზედამხედველობას ფონდის თანამშრომლების საქმიანობაზე, პერიოდულად ისმენს ანგარიშებს თანამშრომელთა საქმიანობის შედეგების თაობამე, ფონდის სახელით სამოქმედოდ გასცემს მინდობილობას ფონდის თანამშრომლებსა და მესამე პირებზე;

ი) უფლებამოსილია კანონმდებლობით, შესაბამისი ხელშეკრულებით ან ფონდის შინაგანაწესით განსაზღვრული წესით ფონდის თანამშრომლების მიმართ გამოიყენოს წახალისებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები;

კ) სამინისტროსთან შეთანხმებით განსაზღვრავს ფონდის ხარჯთაღრიცხვას;

ლ) ადგენს და სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს ფონდის ბალანსს;

მ) ამტკიცებს ფონდის თანამშრომელთა შვებულებაში გასვლის განრიგს;

ნ) ატარებს სათანადო ღონისძიებებს ფონდის მეტერიალურ - ტექნიკური ბაზის სრულყოფის, თანამშრომელთათვის აუცილებელი სამუშაო პირობების შექმნის მიზნით;

ო) წელიწადში ერთხელ არაუგვიანეს 10 დეკემბრისა სამინისტროს წარუდგენს ფონდის ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ;

პ) სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს ფონდის წესდებას, წესდებაში შეასატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ პროექტს, წინადადებებს ფონდის საქმიანობის სრულყოფის ღონიძიებათა შესახებ;

ჟ) ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად, სათანადო წინწდადებებისა და რეკომენდაციების მომზადების მიზნით

უფლებამოსილია ბრძანებით შექმნას სათათბირო ჯგუფები, კომისიები და უხელმძღვანელოს მას;

რ) შეიმუშავებს და ამტკიცებს შინაგანაწესს;

ს) უფლებამოსილია ფონდის სახელით გახსნას და დახუროს საბანკო ანგარიშები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადოს ხელშეკრულებები( შეთანხმებები) ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან

ტ) ახორციელებს კანონმდებლობით ,ამ წესდებით და მათ შესაბამისად სამინისტროს მიერ სხვა უფლებამოსილებებს.

5.5 ფონდის დირექტორს ჰყავს სამი მოადგილე, მათ შორის მოადგილე – სახელმწიფო და უცხო ენებისა და სხვა პროგრამების სწავლების მიმართულებით, მოადგილე – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საკითხებში და მოადგილე - ადმინისტრაციულ საკითხებში.

5.6 ფონდის დირექტორის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ფონდის დირექტორი, რომელიც ასევე ღებულობს გადაწყვეტილებას მოადგილეთა შორის უფლებამოსილების განაწილების შესახებ

5.7 დირექტორის მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში დირექტორის ერთერთი მოადგილე დირექტორის დავალებით ,ახორციელებს მის უფლებამოსილებას

## მუხლი 6. ფონდის სტრუქტურა

### 6.1 ფონდის სტრუქტურა მოიცავს:

ა) ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს;

ბ) პედაგოგიურ პერსონალს;

6.2 ფონდში ახალი სტრუქტურული ერთეულის გახსნა შეიძლება განხორციელდეს სამინისტროსთან შეთანხმებით, შესაბამისი პედაგოგიური კადრებისა და მატერიალური ბაზის არსებობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილის წესით.

## მუხლი 7 ფონდის ფილიალები

7.1 ფონდს შეუძლია დაარსოს ფილიალი. რომელიც არის განცალკევებული ქვედანაყოფი,მდებარეობს ფონდის ადგილსამყოფელის გარეთ და სრულად ან ნაწილობრივ წარმოადგენს მას თავის სამოქმედო ტერიტორიაზე;

7.2 ფილიალი არ არის იურიდიული პირი და საქმიანობას ახორციელებს დამფუძვნებლის მიერ მიღებული აქტის (ოქმის) საფუძველმე.

7.3 ფონდის ფილიალი არ რეგისტრირდება.

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) გრანტებით მიღებული სესხები;

გ) საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე პროექტების განხორციელებისათვის გამოყოფილი სახსრები;

დ) შემოწირულობები;

ე) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავლები:

ვ) დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობით მიღებული სახსრები;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა წყაროები.

თავი III ქონება და ფინანსები

მუხლი 8. ფონდის ქონება და ფინანსების წყაროები

8.1 ფონდი ფლობს და განკარგავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მისთვის სარგებლობაში გადაცემულ ქონებას. საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად

8.2 ფონდის საკუთრებას წარმოადგენს მისი საქმიანობის შედეგად შექმილი ქონება, ასევე მისთვის საკუთრებაში გადაცემული ქონება და ფულადი სახსრები

8.3 ფონდის დაფინანსების წყაროებიშეიძლება იყოს ;

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) გრანტებით მიღებული სესხები;

გ) საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე პროექტების განხორციელებისათვის გამოყოფილი სახსრები;

დ) შემოწირულობები;

ე) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავლები:

ვ) დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობით მიღებული სახსრები;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა წყაროები.

8.4. ამ მუხლით განსაზღვრული სახსრები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ ფონდის მიზნების და ფუნქციების განხორციელებას; ფონდის სახსრების სხვა მიზნით გამოყენება დაუსვებელია.

8.5 ფონდი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო- ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება,შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამინისტროს

თავი IV ფონდის საქმიანობის ზედამხედველობა

მუხლი 9. საქმიანობის ზედამხედველობა

ფონდის საქმიანობის ზედამხედვლობასა და კოორდინაციას ახორციელებს სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი V რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 10 ფონდის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ფონდის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება სამინისტროს გადაწყვეტილებით საქართველოს კანონმდებლობით დადგნილი წესით

თავი VI წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მუხლი 11. წესდებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის წესი

წესდებაში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება აჭარის  
ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს  
ბრძანებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

განათლების, კულტურისა და სპორტის

მინისტრი